

მოთხოვნები ორიგინალური სახელმძღვანელოს მიმართ

(წარდგენა შესაძლებელია თანაავტორობითაც)

სახელმძღვანელოს მომზადების პროექტი უნდა იყოს გაწერილი მოცემული პუნქტების შესაბამისად. პროექტის მოცულობა 5-10 გვერდი.

1. სახელმძღვანელოს მიზნები უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს.
2. სახელმძღვანელოს მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს, სულ მცირე, საგნისთვის მინიჭებულ კრედიტსა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების (ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე) რაოდენობას.
3. სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა ფარავდეს სილაბუსში მითითებულ ყველა თემას.
4. სახელმძღვანელოსა და უცხოური სასწავლო ლიტერატურის ყველა თავის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს:
 - შესავალი - თავის მიზნები, რა საკითხები იქნება განხილული;
 - ძირითადი ტექსტი (საჭიროების შემთხვევაში ვიზუალური ელემენტების - გრაფიკები, დიაგრამები, სურათები - გამოყენება);
 - თავის რეზიუმე (საკვანძო საკითხები მასალის ორგანიზებისათვის);
 - ძირითადი ცნებები;
 - შემაჯამებელი კითხვები და დავალებები (სავარჯიშოები) სტუდენტებისთვის;
 - დამატებით საკითხავი წყაროები;
 - სახელმძღვანელოს ბოლოს უნდა განთავსდეს სათანადოდ კლასიფიცირებული მითითებული ბიბლიოგრაფია. წყაროების მითითებისას უნდა იყოს დაცული რომელიმე აკადემიური სტილი (AAA; APA; ASA; Chicago author-date).

კრიტერიუმები სახელმძღვანელოს პროექტის შესაფასებლად:

(ფაკულტეტის შემფასებელი კომისიისთვის)

- აკადემიური ღირებულება - შესაბამისობა აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიზნებთან და შედეგებთან;
- სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან;

- თანამედროვე ლიტერატურასა და უახლეს კვლევით მონაცემებთან შესაბამისობა, ახალი კონცეფციების ან კვლევების წარმოდგენა
- საკითხავი მასალა და მისი დამუშავება შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურისათვის უნდა უტოლდებოდეს არანაკლებ 5-7 გვერდს ერთ ასტრონომიულ საათში (გვერდი 2000 ასონიშანი ინტერვალებით).

მოთხოვნები სათარგმნი სახელმძღვანელოს მიმართ

1. სათარგმნი სახელმძღვანელოს მიზნები უნდა შეესაბამებოდეს აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს;
2. სათარგმნი უცხოური სასწავლო ლიტერატურის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს, სულ მცირე, საგნისთვის მინიჭებულ კრედიტსა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების (ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე) რაოდენობას;
3. პედაგოგიური ღირებულება - აკადემიურად, ამავდროულად, ნათლად დაწერილი ტექსტები, გასაგებად, მარტივად გადმოცემული კომპლექსური თემები;
4. ინტერაქტიულობა და ვიზუალიზაცია: შემაჯამებელი კითხვები და დავალებები სტუდენტებისთვის - მაგალითები, კითხვარები, სავარჯიშოები და ვიზუალურად მიმზიდველი და ადვილად აღქმადი სქემები;
5. საკვანძო საკითხების ეფექტური შეჯამება;
6. წიგნის ავტორის აკადემიური და პროფესიული რეპუტაცია;
7. სახელმძღვანელოს პირველად გამოშვების წელი და გამოცემათა რაოდენობა.

კრიტერიუმები სათარგმნი სახელმძღვანელოს პროექტის შესაფასებლად:

- სათარგმნი სახელმძღვანელოს მიზნები შეესაბამება აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს.
- სახელმძღვანელოს სტრუქტურის შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან.
- აღიარება: წიგნის ავტორის აკადემიური და პროფესიული რეპუტაცია. სახელმძღვანელოს პირველად გამოშვების წელი და გამოცემათა რაოდენობა.

აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ავტორმა (ავტორთა კოლექტივმა) უნდა წარმოადგინოს პროექტი (მოთხოვნების შესაბამისად), მათ შორის:

1. პროექტის აღწერა (მოკლე ანოტაცია) დამტკიცებული პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობის დადასტურებით (შესაბამისი სილაბუსი); სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში - პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობის დასაბუთება;

ა) სახელმძღვანელოს სარჩევი;

ბ) სახელმძღვანელოს სავარაუდო სტრუქტურა;

გ) გამოსაყენებელი სავარაუდო ლიტერატურა;

2. არასასურველი რეცენზენტები (არაუმეტეს 5-სა. სახელისა და გვარის მითითებით);

3. ავტორის(თა) სრული CV.

პროექტებს განიხილავს კონკურსის კომისია.

პროექტების მიღება იწარმოებს 2-11 ოქტომბერს;

კომისიის დასკვნა- არაუგვიანეს 21 ოქტომბრისა;

ფაკულტეტის საბჭოზე გატანა და დამტკიცება;

აკადემიურ საბჭოზე დამტკიცება (ბოლო ვადა- 1 ნოემბერი).